ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების
რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for
vulnerable groups

PENAL
REFORM
INTERNATIONAL

# მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია და რისკების შეფასება პენიტენციურ სისტემაში

## სამაგიდე კვლევა



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

PENAL REFORM INTERNATIONAL

# მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია და რისკების შეფასება პენიტენციურ სისტემაში

## სამაგიდო კვლევა

წინამდებარე სამაგიდო კვლევა მოამზადა ორგანიზაციამ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის" (ავტორი: ბაქარ მეტრეველი). კვლევა ჩატარდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის – „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით" ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და ტექსტში გადმოცემული მოსაზრებები არცერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დონორის, ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის" ან მისი პარტნიორი ორგანიზაციების პოზიციის გამომხატველად.

The publication has been produced by Rehabilitation Initiative of Vulnerable Groups (Author: Bakar Metreveli) within the framework of the EU funded project "Monitoring Government's Commitments and Promoting Penal Reforms through the Engagement of CSOs" which is implemented by Penal Reform International South Caucasus Regional Office. The contents of this document is the sole responsibility of the Author and can in no circumstances be regarded as reflecting the position of either the donor or Penal Reform International, or its partner organisations.

2018 წელი

# სარჩევი

შესავალი ........................................................................................................................................ 5

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.......................................................................................5

საერთაშორისო სტანდარტები.........................................................................................................6

ეროვნული კანონმდებლობა.............................................................................................................8

კვლევების/ანგარიშების მეორადი ანალიზი..................................................................................15

საჯარო სტატისტიკური ინფორმაცია.............................................................................................17

# შესავალი

განთავსებისთვის თუ განცალკევებისთვის, მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების მიხედვით კლასიფიკაცია, რისკების სწორი შეფასება, გადაფასება, მათთვის სხვადასხვა შესაბამისი საცხოვრებელი პირობების/რეჟიმის შერჩევა და შემდგომ შესაბამისი განთავსება პენიტენციური სისტემის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, ვინაიდან არსებითად ამ საკითხებზეა დამოკიდებული, ერთის მხრივ, თავად პატიმრის უფლებები, საცხოვრებელი პირობები და მეორეს მხრივ, სასჯელის მიზნის მიღწევა. ამიტომ აღნიშნულ საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, როგორც საერთაშორისო მარეგულირებელ სტანდარტებში, ასევე ეროვნულ კანონმდებლობაში.

# ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

### ძირითადი მიგნებები

საკვლევ 2014–2017 წლებში, სახეზეა აქტიური დინამიკა, განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, დანერგილია საქართველოსთვის სრულიად ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის სისტემა. თუმცა არის ხარვეზებიც.

- გარანტირებული არ არის მსჯავრდებულის სათანადო ჩართულობა რისკების შეფასებისა და გადაფასების პროცესში, რითიც უგულებელყოფილია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის რეკომენდაცია პატიმრებთან წინასწარი კონსულტაციის შესახებ.[1]

- დაბალი რისკის მსჯავრდებულის საშიშროების რისკის გადაფასების საფუძვლად დადგენილია თავად მსჯავრდებულის ქცევის ან დამოკიდებულების მკვეთრად შეცვლა ან სხვა გარემო პირობები ან/და მისი იმავე ტიპის დაწესებულებაში დატოვების გაუმართლებელობა[2] (ამოქმედდა 2017 წლის აპრილიდან). აღნიშნული წესი ბევრი ბუნდოვანების მატარებელია და შეიცავს თანამდებობის პირთა მხრიდან მისი არაკეთილსინდისიერად გამოყენების რისკებს. ზოგადი ხასიათისაა დათქმა მსჯავრდებულის დაწესებულებაში დატოვების გაუმართლებლობის შესახებ, ვინაიდან აღნიშნულ გაუმართლებლობის გარემოებას არ ახლავს არც განმარტება და არც რაიმე შინაარსი, რას შეიძლება გულისხმობდეს კანონმდებელი და რა კონკრეტული გარემოებები ან პირობები შეიძლება ქმნიდეს გაუმართლებლობის ფაქტს. ასევე, შინაარსისგან დაცლილია დათქმები ქცევის ან დამოკიდებულების მკვეთრად შეცვლის შესახებ. არც ამ გარემოებების განმარტებაა მითითებული, თუ კონკრეტულად რა შეიძლება მიიჩნიოს ნორმის აღმასრულებელმა მკვეთრად უარყოფით ცვლილებაში, ან რა არის ქცევა და რა დამოკიდებულება.

- იგივე ბუნდოვანების და რისკების მატარებელია, ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტულ შინაარსს მოკლებულია ნორმა (ამოქმედდა 2017 წლის სექტემბრიდან), რომელიც ითვალისწინებს მსჯავრდებულის ქცევის, დამოკიდებულების მკვეთრად უარყოფითად შეცვლის შემთხვევაში ან/და მსჯავრდებულის იმავე დაწესებულებაში დატოვების გაუმართლებლობის დროს, დეპარტამენტის დირექტორის უფლებამოსილებას დროებით, არაუმეტეს 20 დღისა გადაიყვანოს მსჯავრდებული დახურული ტიპის დაწესებულებაში რისკის გადაფასების მიზნით.[3] აღნიშნული წესი, თავისი ფორმით, გავს რაიმეს უზრუნველყოფის ღონისძიებას; არღვევს მთლიანად პენიტენციური სისტემის წესებს მსჯავრდებულისთვის უკვე განსაზღვრული სამართლებრივი რეჟიმის კონკრეტული მიზნისთვის გამკაცრების შესახებ, ვინაიდან ეს ღონისძიება არ არის არც დისციპლინური დასჯა, არც დაწესებულების განსაკუთრებული პირობები, არც უსაფრთხოების ღონისძიება და არც თავად განთავსების დაწესებულების ტიპის გამკაცრება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 20 დღის შემდეგ. ამ რედაქციით მოცემული გარემოებების რეალურ მოქმედებაში კონკრეტიზაციის შემთხვევაში, უმეტესად მივიღებთ დისციპლინური დასჯის ღონისძიების გამოყენების, მათ შორის სამარტოო საკანში მოთავსების, საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანის ან/და დისციპლინური პატიმრობის შეფარდების საფუძველს. ამასთან, ლოგიკურად განკუთვნილია მხოლოდ დაბალი რისკის კატეგორიის მსჯავრდებულთათვის, რადგანაც სხვა სახის რისკის მატარებელნი ისედაც დახურული ტიპის დაწესებულების ან უფრო მეტად გამკაცრებული რეჟიმის პირობებში არიან, თუმცა კანონმდებლობა არ მიუთითებს კონკრეტულად რომელიმე რისკის კატეგორიის მსჯავრდებულებისთვისაა განკუთვნილი თუ არა.

- კვლევისთვის გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 2015-2017 წლების რეკომენდაციები რისკის შეფასების პროცესის დაწყების თაობაზე

1 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), პუნქტი 17.3.

2 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N70 ბრძანებით დამტკიცებული „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი“, მუხლი 16.2, „დ“.

3 იქვე, მუხლი $14.1^{3}$; საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი – $47.2^{2}$.

მსჯავრდებულის ინფორმირების შესახებ, მსჯავრდებულისთვის დამატებითი დოკუმენტაციის ნებისმიერ ეტაპზე წარდგენის უფლების მინიჭების შესახებ, დაწესებულების მთავარი ექიმისა და სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის პროცესში ჩართვის შესახებ და გადაწყვეტილების მიღებისას მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინების შესახებ არაა გაზიარებული და შესრულებული პენიტენციური სისტემის მიერ.[4]

- მკვეთრი ცვლილებებია სისტემაში მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის განსაზღვრის მიდგომებში. აღნიშნული დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს მკვეთრი ცვლილება ნახევრად ღია ტიპისა და დახურული ტიპის კატეგორიებს შორის მონაცემების დინამიკა. თუ 2014 წლის ბოლოს სისტემაში (მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობაა 8865) განთავსებული იყო 2451 ნახევრად ღია ტიპის კატეგორიას მიკუთვნებული მსჯავრდებული, 2017 წლის ბოლოსთვის (მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობაა 7975) სტატისტიკა გვიჩვენებს იგივე კატეგორიის 5204 მსჯავრდებულს, მაშინ როდესაც დახურულ ტიპის კატეგორიას მიკუთვნებული მსჯავრდებულთა რაოდენობა 2014 წლის ბოლოსთვის შეადგენს 6076-ს, ხოლო 2017 წლის ბოლოსთვის – 2106-ს.

### რეკომენდაციები

- შემუშავდეს და დაინერგოს რისკების შეფასებისა და გადაფასების პროცესში თავად მსჯავრდებულთა სრულფასოვან ჩართულობის უზრუნველმყოფელი ნორმები;
- ძალადაკარგულად გამოცხადდეს ან შეიცვალოს ბუნდოვანებისა და რისკების აღმოფხვრის მიმართულებით, დაბალი რისკის გადაფასებისთვის დადგენილი ნორმა მსჯავრდებულის ქცევის, დამოკიდებულების ან სხვა გარემო პირობების მკვეთრი შეცვლის ან/და მისი იმავე ტიპის დაწესებულებაში დატოვების გაუმართლებლობის შესახებ;
- ძალადაკარგულად გამოცხადდეს ნორმა, რომელიც დაწესებულების დირექტორს აძლევს უფლებამოსილებას რისკის გადაფასების მიზნით არაუმეტეს 20 დღით გადაიყვანოს მსჯავრდებული დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში;
- შესრულდეს საქართველოს სახალხო დამცველის 2015-2017 წლების რეკომენდაციები: რისკის შეფასების პროცესის დაწყების თაობაზე მსჯავრდებულის ინფორმირების შესახებ; მსჯავრდებულისთვის დამატებითი დოკუმენტაციის ნებისმიერ ეტაპზე წარდგენის უფლების მინიჭების შესახებ; დაწესებულების მთავარი ექიმისა და სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის პროცესში ჩართვის შესახებ და გადაწყვეტილების მიღებისას მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინების შესახებ.

## საერთაშორისო სტანდარტები

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სხვადასხვა კატეგორიის პატიმრები უნდა განთავსდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში ან ერთი დაწესებულების სხვადასხვა, ერთმანეთისგან იზოლირებულ ნაწილში. პატიმართა კატეგორიები იყოფა მათი სქესის, ასაკის, წარსულში ნასამართლეობის, მოქმედი დაპატიმრების მიზეზებისა და მათთან მოპყრობის საჭიროებების ნიშნებით. აღნიშნული ნიშნების მიხედვით პატიმრები განცალკევებით უნდა განაწილდნენ:[5]

- მამაკაცები და ქალები;
- მსჯავრდებულები და ბრალდებულები;
- გადაუხდელი ვალის ან სხვა სამოქალაქო/ეკონომიკური დანაშაულებისთვის დაპატიმრებულები და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულებისთვის დაპატიმრებულები;
- არასრულწლოვნები და სრულწლოვნები.

სტანდარტები ითვალისწინებს ზემოაღნიშნული წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას თავად პატიმრის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ეს გამონაკლისი გულისხმობს პატიმართა მიერ სხვადასხვა ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობის მიღების შემთხვევებს. ასეთ დროს პატიმრების ღამით განთავსება მაინც უნდა დაექვემდებაროს ჩვეულებრივ წესებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავად პატიმრები განაცხადებენ თანხმობას ერთად განთავსების შესახებ და ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ

4 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2018 წლის 20 აგვისტოს N MOC 8 18 00766016 წერილი, პუნქტი 4.

5 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) - წესი 11. / ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), პუნქტი 18.8; 59.1, 60./ გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები), პუნქტი 29.

აღნიშნული იქნება საუკეთესო გამოსავალი.[6] ასევე, გამონაკლისის სახით დაიშვება არასრულწლოვანი პატიმრის სრულწლოვანი ოჯახის წევრ პატიმართან ან სხვა „ფრთხილად შერჩეულ“ პატიმართან ერთად განთავსებას, სადაც ის გაივლის სპეციალურ ერთობლივ სარეაბილიტაციო პროგრამას.[7] აღნიშნულთან ერთად პატიმართა განთავსება უნდა მოხდეს:[8]

- სისხლის სამართლის საქმის შემდგომი გაგრძელების მოთხოვნების მიხედვით;
- უსაფრთხოებისა და საშიშროებების რისკების შეფასების მიხედვით;
- სათანადო რეჟიმის უზრუნველყოფის საჭიროებების მიხედვით.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სტანდარტების მიხედვით, პატიმართა განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად მათ საცხოვრებელ ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან ახლოს.[9]

ზემოაღნიშნულის გარდა, სტანდარტები აღიარებს პატიმართა სპეციალურ კატეგორიებად დაყოფის აუცილებლობას და ადგენს კლასიფიკაციისა და ინდივიდუალიზაციის საჭიროებას.

კლასიფიკაციის მიზანია განცალკევება ისეთ პატიმართაგან, რომლებიც დანაშაულებრივი წარსულით თუ ცუდი თვისებებით უარყოფით გავლენას მოახდენენ პატიმარზე.[10]

კლასიფიცირების შედეგად არსებულ ცალკეულ ჯგუფებთან სამუშაოები უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად განცალკევებულად სხვადასხვა დაწესებულებაში.[11]

ინდივიდუალიზაცია გულისხმობს პატიმრის მიღებიდან უმოკლეს ვადაში მისი ხასიათის შესწავლას და მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებებიდან, შესაძლებლობებიდან და მიდრეკილებებიდან გამომდინარე მასთან მუშაობის პროგრამის შემუშავებას.[12]

სტანდარტები ადგენს, რომ შეძლებისდაგვარად უნდა განხორციელდეს და გათვალისწინებულ იქნეს განთავსების შესახებ თავად პატიმართან „კონსულტაცია“, როგორც თავდაპირველი განთავსების, ასევე სხვა დაწესებულებაში შემდგომი გადაყვანის შესახებ.[13] პატიმარს უნდა დაესვას კითხვები სოციალური და ფსიქოლოგიური ჩანაწერების გასაკეთებლად. ჩანაწერებში უნდა აისახოს კონკრეტული სახის მოპყრობის შესახებ ყველა ფაქტორი და თავად პატიმრის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული პროგრამა. უნდა მომზადდეს სამედიცინო აღწერა და გათვალისწინებულ იქნეს გენდერულ სპეციფიკური მოთხოვნილებები. შეკრებილი ინფორმაციის ერთობლიობით დაწესებულებამ უნდა მიიღოს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა და გადაწყვიტოს პატიმრის განთავსების კონკრეტული ადგილი, მოპყრობის კონკრეტული ტიპი, დონე და კონკრეტული სარეაბილიტაციო პროგრამა და საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა.[14]

სასჯელის დასრულების წინ აუცილებელია მსჯავრდებულთან გარკვეული ღონისძიებების გატარება, საზოგადოებაში თანდათანობით და უმტკივნეულო დაბრუნებისთვის. სასურველია მათი ცალკე დაწესებულებაში მოთავსება, ცალ-ცალკე ჯგუფებად კლასიფიცირება და სპეციალური სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, მათ შორის დაწესებულებიდან საცდელი, დროებითი ზედამხედველობის ქვეშ გაშვება.[15]

აღნიშნული დათქმების რეალიზება მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას და ჯგუფებად კლასიფიცირების მოქნილი სისტემის არსებობას, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებს პატიმართა ინდივიდუალურ მოთხოვნებს, სხვადასხვა მოთხოვნილებებს, მათ შორის გონებრივ და ფიზიკური

6 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), პუნქტი 18.9.

7 გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები), პუნქტი 29/ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის, პუნქტი 59.

8 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), პუნქტი 17.2.

9 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) - წესი 59; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), პუნქტი 17.1; გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), წესი 4; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის, პუნქტი 55.

10 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 93.1.

11 იქვე, წესი 93.2.

12 იქვე, წესი 94.

13 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები), პუნქტი 17.3.

14 გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები), პუნქტი 27; გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), 41.გ.

15 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 87 – 89.

ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათ დაცვას, მათ შორის სხვათა მავნე ზეგავლენისგან და სარისკო სიტუაციებისგან; ასევე, აღნიშნული მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს, რომ მკაცრი უსაფრთხოების ზომები და სრული იზოლაციის გამოყენება ქალ პატიმართა მიმართ მათ განსაკუთრებულ ზიანს აყენებს.[16]

სტანდარტები ადგენს, რომ სარეაბილიტაციო ჯგუფებისათვის აუცილებელი არაა უსაფრთხოების ერთნაირი ზომების არსებობა; სასურველია ამ ზომების ჯგუფებთან შესაბამისობაში მოყვანა, სიმკაცრის შემცირება და გაქცევის თავიდან აცილებისთვის ფიზიკური საშუალებებიდან თვითდისციპლინაზე გადასვლა. პატიმართა რაოდენობა უნდა იყოს შესაბამისად მცირე, ხოლო დაწესებულების სივრცე, ფართობი საკმარისად დიდი შესაბამისი ღონისძიებებისა და მომსახურებების განხორციელებისთვის.[17]

ყველა დაწესებულებაში უნდა არსებობდეს სხვადასხვა კლასის პატიმართა შესაბამისი „პრივილეგირების" სისტემა, უნდა არსებობდეს მოპყრობის სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც წაახალისებს მათ კარგ ქცევას, განავითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას, უზრუნველყოფს მათ ინტერესებსა და თანამშრომლობას მოპყრობასთან მიმართებაში.[18]

კლასიფიცირებისა და ინდივიდუალიზმის სტანდარტები ასევე გათვალისწინებულია პატიმართა შრომის, განათლებისა და დასვენების მიმართ.[19]

# ადგილობრივი კანონმდებლობა

ადგილობრივ კანონმდებლობაში პატიმრის დაწესებულებაში მიღების კლასიფიკაციისა და განთავსების წესები განსაზღვრულია საქართველოს პატიმრობის კოდექსით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

კანონმდებლობა განსაზღვრავს პატიმართა კლასიფიკაციის მთავარ პრინციპებს, განთავსების პირობებსა და თავისებურებებს.

განსაზღვრულია მსჯავრდებულთა ასაკობრივი, სქესობრივი და რისკების მიხედვით განცალკევება. ამასთან, დადგენილია ბრალდებულთა განცალკევებით მოთავსება.

სასჯელის მოხდისა და მსჯავრდებულთა განთავსებისთვის განსაზღვრულია წინასწარი პატიმრობის პენიტენციური დაწესებულება, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო პენიტენციური დაწესებულება და 7 ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. ესენია:[20]

- გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;
- დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;
- ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;
- დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;
- განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;
- არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება;
- ქალთა სპეციალური დაწესებულება.

ამასთან, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შეიქმნას შერეული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.[21]

საგულისხმოა, რომ გათავისუფლებისთვის მომზადებისა და დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები კანონმდებლობით განისაზღვრა 2017 წელს და მათი ამოქმედება დადგენილია 2018 წლის პირველი იანვრიდან.

კანონმდებლობა ადგენს, რომ, როგორც წესი, მსჯავრდებული უნდა განთავსდეს მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში. მსჯავრდებული შეიძლება გადაიყვანონ იმავე ან სხვა ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში:

---

16 იქვე, წესი 89.1; გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები), პუნქტი 28; გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), 40–41.ა; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის, პუნქტი 61.

17 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი 89.2–4.

18 იქვე, წესი 95.

19 იქვე, თავი II.

20 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 8.6 – 10.

21 იქვე, მუხლი 8.7.

- საშიშროების რისკის განსაზღვრის შესაბამისად ან გათავისუფლებისთვის მოსამზადებლად;
- დაწესებულების დებულების სისტემატიური დარღვევისთვის, ავადმყოფობის გამო;
- დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან გადატვირთულობის გამო;
- დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- დაწესებულების „განსაკუთრებული პირობების“[22] გამო;
- სხვა დასაბუთებული მნიშვნელოვანი გარემოებების გამო;
- ნებისმიერი მიზეზით თავად მსჯავრდებულის თანხმობით.[23]

მსჯავრდებულისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებიდან არაუგვიანეს 20 დღისა, დეპარტამენტის დირექტორი რისკის განსაზღვრის პროცედურის გარეშე, იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი ტიპის დაწესებულებაში უნდა დაიწყოს სასჯელის მოხდა მსჯავრდებულმა.[24]

ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების შესაბამისად დაწესებულებაში მსჯავრდებულის გადაყვანას უზრუნველყოფს პენიტენციური დეპარტამენტი, დირექტორის გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 20 დღისა.[25] ამის შემდეგ იწყება რისკების შეფასების პროცედურები და დაწესებულების დირექტორი ვალდებულია არაუმეტეს 60 დღისა რისკების შეფასების გუნდს წარუდგინოს მსჯავრდებულის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია.[26]

კანონმდებლობა ადგენს, რომ მსჯავრდებულის რისკების შეფასებას და პერიოდულ გადაფასებას უზრუნველყოფს რისკების შეფასების გუნდი. მსჯავრდებულის რისკის სახეები, რისკის შეფასების კრიტერიუმები, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესი, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით[27] (რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ). კანონმდებლობის, მათ შორის, პირველ რიგში, ამავე ბრძანების პირობების შესაბამისად, მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტიპს განსაზღვრავს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი.[28]

დადგენილია, რომ პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს უფლება აქვს მსჯავრდებულის რისკის გადაფასების მიზნით მისი წინასწარ, დროებით, არაუმეტეს 20 დღის ვადისა დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაიყვანოს მსჯავრდებული თუ მკვეთრად უარყოფითად შეიცვალა მსჯავრდებულის ქცევა, დამოკიდებულება ან/და მსჯავრდებულის იმავე დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია.[29]

არასრულწლოვნები

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა მიმართ კანონმდებლობა ადგენს განცალკევებით განთავსების ვალდებულებას სქესის, მსჯავრდებისა და ბრალდების, ასევე ასაკობრივი, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების და თავად მსჯავრდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა მახასიათებლების მიხედვით. შესაბამისად განცალკევებით უნდა განთავსდნენ:[30]

- ბრალდებულები და მსჯავრდებულები;
- მდედრობითი და მამრობითი სქესის მსჯავრდებულები;
- სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები;
- მსჯავრდებულები ჩადენილი დანაშაულის კატეგორიების მიხედვით;
- მსჯავრდებულები სხვადასხვა ფიზიკური და გონებრივი განვითარების მიხედვით;
- მსჯავრდებულები, მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მახასიათებლების მიხედვით.

დაუშვებელია არასრულწლოვანთა სრულწლოვანებთან ერთად მოთავსება ან ბადრაგირება/გადაყვანა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ისინი ერთად მონაწილეობენ სხვადასხვა სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში.[31] ასევე, სხვადასხვა სქესის განცალკევებით მოთავსების წესის მიუხედავად, შესაძლებელია მათი სხვადასხვა სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობა.[32]

---

22 იქვე, მუხლი 58.1.
23 იქვე, მუხლი 46. 2 -3.
24 იქვე, მუხლი 47.1.
25 იქვე, მუხლი 47.2.
26 იქვე, მუხლი $47.2^1$.
27 შენიშვნა: საკვლევი პერიოდის შემდგომ, 2018 წლიდან პენიტენციური სისტემა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სახით დაექვემდებარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.
28 იქვე, მუხლი 46. 4.
29 იქვე, მუხლი $47.2^2$.
30 საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 81.1, 81.3.
31 იქვე, მუხლი 81.2, 81.4.
32 იქვე, მუხლი 81.4.

დადგენილია, რომ მდედრობითი სქესის არასრულწლოვნები განთავსდებიან ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში სპეციალურად მათთვის გამოყოფილ განცალკევებულ განყოფილებაში.[33]

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

ყველა დაწესებულების დებულება ერთნაირად განსაზღვრავს მსჯავრდებულთა კლასიფიკაციისა და განთავსების საკითხებს, გარდა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებისა, რომელიც ადგენს გარკვეულ მცირე თავისებურებებს.[34]

დებულებებით განსაზღვრული მსჯავრდებულის მიღების პროცედურების გავლის შემდგომ, დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის კონკრეტულ საკანში მოთავსების შესახებ. აღნიშნულ გადაწყვეტილებას დირექტორი იღებს სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებისა და უსაფრთხოების განყოფილებების მიერ მსჯავრდებულის „თავსებადობის საკითხის შესწავლის" შედეგებზე დაყრდნობით, რა დროსაც უნდა გაითვალისწინოს მსჯავრდებულის:[35]

- პიროვნული თვისებები;
- წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები;
- ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი;
- დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის რისკი;
- სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილებაზე.

დაწესებულების ადმინისტრაცია (სპეციალური აღრიცხვის განყოფილება) ვალდებულია მსჯავრდებულის მიღების შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა, აცნობოს მის ახლო ნათესავს, მის ადვოკატს ან მისივე თხოვნით ნებისმიერ სხვა პირს.[36]

მნიშვნელოვანია, რომ „დაწესებულებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXVI თავით გათვალისწინებული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ დანაშაულის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXVII თავით გათვალისწინებული ფულად-საკრედიტო სისტემაში დანაშაულის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXVIII თავით გათვალისწინებული საფინანსო საქმიანობის სფეროში დანაშაულის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIX თავით გათვალისწინებული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ დანაშაულის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავით გათვალისწინებული კიბერდანაშაულისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავით გათვალისწინებული სამოხელეო დანაშაულის ჩადენისთვის პატიმრობაში მყოფი ან თავისუფლებააღკვეთილი ბრალდებული/მსჯავრდებული, როგორც წესი, განთავსებულია სხვა ბრალდებულისგან/მსჯავრდებულისგან განცალკევებით."[37] ასევე, როგორც წესი, მწეველები განთავსდებიან არამწეველთაგან განცალკევებით.[38]

არასრულწლოვანთათვის დებულება დამატებით ადგენს, რომ დაწესებულებაში, როგორც წესი, განცალკევებით მოთავსდებიან:[39]

- პირველადი მსჯავრდებულები;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მუხლებით $143^1$ (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) ან/და $143^2$ (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობილი პირები;
- პირი, რომლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე შეექმნას წარსული სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე;
- განსაკუთრებით საშიში პირები, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი შედეგი ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დაწესებულებისა და მის გარშემომყოფთა უსაფრთხოებას.

გარდა ამ დებულებებისა, 2015 წლის 9 ივლისს დამტკიცდა და 13 ივლისს ამოქმედდა „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის დამტკიცების

33 იქვე, მუხლი 81.5.

34 შენიშვნა: გარდა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებისა, დაწესებულებების დებულებებიდან სამაგალითოდ მიეთითება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N109 ბრძანებით დამტკიცებული დებულება.

35 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N109 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მუხლი 15.25.

36 იქვე, მუხლი 15.26.

37 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N109 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მუხლი $13.3^{1}$.

38 იქვე, მუხლი $13.3^{2}$.

39 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N118 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მუხლი 13.12.

თაობაზე“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N70 ბრძანება, რომელიც წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის საკითხში და ზოგადად პენიტენციური სისტემის მართვისა და კონტროლის მსჯავრდებულთა უფლებებთან თანხვედრაში განხორციელებისთვის.[40]

როგორც სათაურიდანვე ჩანს, ბრძანებით განსაზღვრულია მსჯავრდებულთა კლასიფიკაციისთვისა და იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ უმნიშვნელოვანესი საკითხები.

აღნიშნული ბრძანება ერთ-ერთი იშვიათია იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან, რომლებიც თავად, საქართველოს პატიმრობის კოდექსის ნორმების გამეორების გარეშე ადგენენ რაიმე სამართლებრივ წესებსა და პირობებს.[41] შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებულია:

- „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის, გადაყვანის პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი;“[42]
- „მონაცემთა პირველადი დამუშავების ფორმა;“[43]
- „უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.“[44]

ბრძანება არ მოქმედებს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებზე.

ბრძანებამ დაადგინა, რომ მსჯავრდებულთა რისკების პირველადი შეფასება და შესაბამის დაწესებულებებში განაწილება უნდა განხორციელებულიყო 2017 წლის პირველ იანვრამდე, რაც შემდგომ გადავადდა 2017 წლის პირველ ივლისამდე.[45] აღნიშნული წესი ადგენს:

- მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის სახეებს;
- შეფასებისა და გადაფასების წესს;
- რისკის შეფასების კრიტერიუმებს;
- მსჯავრდებულთა იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის წესსა და პირობებს;
- რისკის შეფასების გუნდის, აგრეთვე პირველადი შეფასების ჯგუფის შემადგენლობას, საქმიანობასა და უფლებამოსილებას;
- უფლებამოსილი პირების საქმიანობის პრინციპებს;
- გადაწყვეტილებების მიღების წესს;
- მსჯავრდებულთა უფლებებს საშიშროების რისკის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების გაცნობისა და რისკის შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ ბრძანების მიხედვით, შესაბამისი უფლებამოსილი პირები საქმიანობას ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე, დამოუკიდებლობის, აღმასრულებელი პრივილეგიის, კანონიერების, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით.[46] თუმცა, არაფერია ნათქვამი ამ პრინციპების შინაარსზე და არ არის მითითება რაიმე სტანდარტებზე/დოკუმენტებზე, სადაც აღწერილი იქნება მათი დეტალური არსი.

განსაზღვრულია, რომ საშიშროების რისკის ფაქტორის გათვალისწინებით სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, იგივე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულის გადაყვანა ხორციელდება პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით,[47] რომელიც უნდა დაეფუძნოს მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრის შესახებ რისკების შეფასების გუნდის გადაწყვეტილებას.[48]

40 „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N70 ბრძანება.

41 შენიშვნა: ბრძანებაში არაერთხელ შევიდა ცვლილებები, 2018 წლიდან ამოქმედდა გარკვეული ახალი ნორმები, ამიტომ განვიხილავთ 2017 წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით არსებულ რედაქციას და მანამდე 2015-2017 წლებში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს.

42 „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N70 ბრძანება, დანართი N1.

43 იქვე, დანართი N2.

44 იქვე, დანართი N3.

45 იქვე, მუხლი 4.

46 იქვე, მუხლი 2.

47 იქვე, მუხლი 3.

48 იქვე, მუხლი 14.1.

ბრძანების მიხედვით მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია:

- პიროვნული თვისებები;
- ასაკი;
- ჩადენილი დანაშაულის მოტივი;
- დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი;
- დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა;
- ქმედება, რომელიც იწვევს/გამოიწვევს მსჯავრდებულთა საზოგადოებასთან („მასასთან“) და საფრთხეს უქმნის/შეუქმნის პენიტენციური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას;
- დაწესებულების თანამშრომლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან დამოკიდებულება, მათზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა;
- დაწესებულების დღის განრიგისა და დებულების მოთხოვნათა შესრულება;
- ალკოჰოლის, აზარტული თამაშების ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულება;
- წარსულში და დაწესებულებაში ჩადენილი დანაშაულის ფაქტები;
- მათი კატეგორია;
- დარჩენილი სასჯელის ხანგრძლივობა;
- დაწესებულებიდან გაქცევის ან მისი მცდელობის ფაქტები;
- წარსულში სასჯელის დაწესებულებაში მოხდის შემთხვევები;
- ქურდულ სამყაროსთან და ტერორიზმთან დამოკიდებულებები;
- დაწესებულების სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულობა;
- თვითდაზიანების/მცდელობის ფაქტები, რომლითაც საფრთხე ექმნება/შეიძლება შეექმნას დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას;
- დისციპლინური წახალისებისა და დასჯის/პატიმრობის შემთხვევები (ეს უკანასკნელი ამოქმედდება 2018 წლის პირველი იანვრიდან).

აღნიშნული კრიტერიუმებით განისაზღვრება დაწესებულების, გარშემომყოფთა, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოების მიმართ მსჯავრდებულისაგან მომდინარე საფრთხე, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრისას.[49] მსჯავრდებულის საშიშროების რისკების სახეებია:

- დაბალი;
- საშუალო;
- მომეტებული;
- მაღალი.

აღნიშნული სახეები შინაარსობრივად განიმარტება თავად დასახელების იდენტურად. საშიშროების დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებული განთავსდება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, საშიშროების საშუალო რისკის მქონე - ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, საშიშროების მომეტებული რისკის მქონე - დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ხოლო საშიშროების მაღალი რისკის მქონე - განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.[50]

საშიშროების რისკის განსაზღვრის პროცედურა მოიცავს დაწესებულების დირექტორის მიერ მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფის შექმნას (დაწესებულებაში, სადაც არსებობს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მულტიდისციპლინური გუნდი, ეს გუნდი ასრულებს ჯგუფის უფლებამოსილებებს) და რისკის განსასაზღვრი მსჯავრდებულების სიის შედგენას, ჯგუფის მიერ აღნიშნული სიით გათვალისწინებული მსჯავრდებულების შესახებ ინფორმაციის დამუშავებას (ერთი ჯგუფის მიერ არაუმეტეს 700 მსჯავრდებულისა), დამუშავებული ინფორმაციის დაწესებულების დირექტორისთვის წარდგენას, ამ უკანასკნელის მიერ რისკების შეფასების გუნდისთვის წარდგენას, გუნდისთვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მასალის მომზადებას, სხდომებზე საბოლოო შესწავლასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც წარედგინება დეპარტამენტის დირექტორს მსჯავრდებულის გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.[51]

რისკების შეფასების გუნდი კომპლექტდება დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით 5 ძირითადი და 5 სათადარიგო წევრისგან და უფლებამოსილია სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს ექიმი

49 იქვე, მუხლი 4.
50 იქვე, მუხლი 5.
51 იქვე, მუხლი 6 – 14.

ან სათანადო სპეციალური ცოდნის ან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე სხვა პირი. გუნდის წევრები არიან სათანადო განათლებისა და პროფესიული გამოცდილების, სათანადო საქმიანი და მორალური თვისებების მქონე პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს წარმომადგენელი, უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს სამართლებრივი რეჟიმის სამმართველოს წარმომადგენელი, უსაფრთხოების სამმართველოს ოპერატიული სამმართველოს წარმომადგენელი, სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს წარმომადგენელი და ფსიქოლოგი.[52]

საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობის ორგანიზაციულ–სამართლებრივ უზრუნველყოფას ახორციელებს დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდის სამსახურებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.[53]

მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფი შედგება დაწესებულების არანაკლებ 3 თანამშრომლისგან, მათ შორის დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის არანაკლებ 1, დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილების არანაკლებ 1 და დაწესებულების სოციალური განყოფილების არანაკლებ 1 წარმომადგენლისგან.[54] გუნდი მიღებულ ინფორმაციას იხილავს და შეისწავლის სხდომაზე და იღებს საშიშროების რისკის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას.[55]

აღსანიშნავია, რომ დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის მოთავსება საჭიროებს მის წერილობით თანხმობას შეასრულოს ამ დაწესებულებისთვის დადგენილი ვალდებულებები, კერძოდ, ისწავლოს ან/და იმუშაოს, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მიერ შემოთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში.[56]

მსჯავრდებული შეძლებისდაგვარად გადაყვანილ უნდა იქნას მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე უფრო ახლოს მდებარე შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში.[57]

დადგენილია, რომ საშიშროების რისკის გადაფასება ხორციელდება:

- საშიშროების მაღალი რისკის შეფასებიდან არაუგვიანეს 12 თვისა;
- საშიშროების მომეტებული რისკის შეფასებიდან არაუგვიანეს 18 თვისა;
- საშიშროების საშუალო რისკის შეფასებიდან არაუგვიანეს 24 თვისა;
- საშიშროების დაბალი რისკის შეფასებიდან თუ მკვეთრად შეიცვალა მსჯავრდებულის ქცევა, დამოკიდებულება ან სხვა გარემო პირობები ან/და გაუმართლებელია მისი იმავე ტიპის დაწესებულებაში დატოვება;
- ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსებული, აგრეთვე სასამართლოს მიერ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობით სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის - დაწესებულებაში დაბრუნებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

ამასთან, მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხოლოდ მის საფუძველზე მიღებულ მსჯავრდებულის გადაყვანის შესახებ დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებასთან ერთად კანონმდებლობით დადგენილი წესით მინისტრთან ან სასამართლოში.[58]

საკანონმდებლო ცვლილებების დინამიკა საკვლევ 2014–2017 წლებში

2014 წლის 16 აპრილს მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის თაობაზე საქართველოს პატიმრობის კოდექსში შევიდა შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

- მსჯავრდებულის განთავსების დაწესებულების განსაზღვრის წესს, კონკრეტულად - მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსების სავალდებულოობის გამონაკლისს, რომელიც გულისხმობდა დაწესებულების გადატვირთულობის, თავად მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზეზებს ან/და მისივე თანხმობით ნებისმიერი მიზეზით სხვა დაწესებულებაში გადაყვანას, შეიცვალა და განისაზღვრა, რომ სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, მსჯავრდებული იმავე ან საშიშროების სხვა ტიპის დაწესებულებაში შეიძლება გადაიყვანონ დაწესებულების დებულების სისტემატიური დარღვევის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან/და რისკების გათვალისწინებით, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაწესებულების რეორგანიზაციისას, ლიკვიდაციისას ან გადატვირთულობისას, ან იმ გარემოების არსებობისას, რომელიც უკავშირდება დაწესებულებაში განსაკუთრებული მდგომარეობის არსებობას,[59] ან სხვა

52 იქვე, მუხლი 8-9.
53 იქვე, მუხლი 10[1].
54 იქვე, მუხლი 6.
55 იქვე, მუხლი 12.
56 იქვე, მუხლი 14.2.
57 იქვე, მუხლი 14.4.
58 იქვე. მუხლი 17.
59 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 58.1.

მნიშვნელოვანი, დასაბუთებული გარემოებისას ან/და მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში ნებისმიერი მიზეზით.[60]

- აქვე დადგინდა, რომ მსჯავრდებულის რისკების შეფასებას და პერიოდულ გადაფასებას უზრუნველყოფს რისკების შეფასების/მულტიდისციპლინური გუნდი. მსჯავრდებულის რისკის სახეები, რისკის შეფასების კრიტერიუმები, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესი, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესი და პირობები, აგრეთვე ზემოხსენებული გუნდის შემადგენლობა და უფლებამოსილება განისაზღვრება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით.[61]
- მოქმედ დებულებებს დაემატა წესი, რომელიც გულისხმობს, რომ მსჯავრდებულზე სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, ვრცელდება ის წესები და რეგულაციები, რომლებიც გადაყვანამდე განსაზღვრული რისკის მსჯავრდებულისთვისაა დაწესებული და რომელთა დაცვაც შესაძლებელია ახალ ტიპის დაწესებულებაში.[62] აღნიშნული ნორმა ტოვებს გარკვეულ ბუნდოვანებას და შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევაში წარმოშვას კონკრეტული უფლებების დარღვევის ან საშიშროების/საფრთხის მომატების რისკი/შემთხვევა, ვინაიდან გაურკვეველია რა ხდება იმ უფლებებისა და რეგულირებების მიმართ, რომლებიც შეუძლებელია განხორციელდეს ახალი ტიპის დაწესებულებაში.
- გაუქმდა ნორმა, რომელიც ავალდებულებდა დაწესებულების ადმინისტრაციას, ახლო ნათესავისთვის ან მსჯავრდებულის თხოვნით სხვა პირისთვის ეცნობებინა მსჯავრდებულის დაწესებულებაში მიღების შესახებ, მიღებიდან არაუგვიანეს 3 დღისა.[63] აღნიშნული საკითხის დარეგულირება კოდექსმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს მიანდო, რაც მიუთითებს კანონმდებლისთვის საკითხის მნიშვნელობის შემცირებაზე. თუმცა, მინისტრმა დაწესებულებების დებულებებით განსაზღვრა, რომ მსჯავრდებულის მიღების შესახებ შეტყობინება უნდა გაკეთდეს მისი მიღებიდან დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა.[64]
- 2015 წლის პირველი ივლისიდან შეიცვალა მულტიდისციპლინური გუნდის სახელი და განისაზღვრა რისკების შეფასების გუნდის სახით.[65]
- მნიშვნელოვანი ცვლილებაა პატიმრობის კოდექსით და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N70 ბრძანებით განსაზღვრული ნორმები მსჯავრდებულის რისკის გადაფასების მიზნით მისი წინასწარ, დროებით, არაუმეტეს 20 დღის ვადისა, დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ, რომელიც მიღებულია 2017 წლის პირველ ივნისს, ამოქმედდა პირველ სექტემბერს და ითვალისწინებს დეპარტამენტის დირექტორის უფლებას მსჯავრდებულის დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაყვანას, თუ იგი მკვეთრად უარყოფითად შეცვლის ქცევას, დამოკიდებულებას ან/და თუ მსჯავრდებულის იმავე დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია.[66]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე მდგომარეობით პენიტენციურ სისტემაში აღნიშნული ნორმა, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ჯერ არ გამოყენებულა.[67]

ზემოაღნიშნული ცვლილებების შესაბამისად და პარალელურად ხორციელდებოდა ცვლილებები კანონქვემდებარე ნორმატიულ დონეზე. კონკრეტულად „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N70 ბრძანებაში:

- თავდაპირველად ბრძანებით დაიგეგმა მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების პირველადი შეფასების და შესაბამის დაწესებულებებში განაწილების 2017 წლის პირველ იანვრამდე განხორციელება, ხოლო შემდგომ 2016 წლის 28 დეკემბრის ცვლილებით გადავადდა პირველ ივლისამდე;[68] მიუხედავად ამისა, სპეციალურად წინამდებარე კვლევისთვის გამოთხოვილი ინფორმაციიდან გამომდინარე, პენიტენციურმა სისტემამ აღნიშნული ვალდებულება ვერ შეასრულა დათქმულ ვადაში.[69]

60 იქვე, მუხლი 46.3-4.
61 იქვე, მუხლი 46.4.
62 იქვე, მუხლი 46.5.
63 იქვე, მუხლი 46.5.
64 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N109 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მუხლი 15.26.
65 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 46.5.
66 იქვე, მუხლი $47.2^2$.
67 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2018 წლის 20 აგვისტოს N MOC 8 18 00766016 წერილი, პუნქტი 2-3.
68 „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N70 ბრძანება, მუხლი 4.
69 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2018 წლის 20 აგვისტოს N MOC 8 18 00766016 წერილი, პუნქტი 1.

- 2017 წლის 21 აპრილის ბრძანებით ამავე წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდა მსჯავრდებულის საშიშროების რისკის პერიოდული გადაფასების განსხვავებული ვადები მანამდე არსებული ყველა კატეგორიის მსჯავრდებულისთვის ერთნაირი ვადის ნაცვლად. ამასთან, განისაზღვრა მნიშვნელოვანი წესი გადაფასების საფუძვლად ვადის ნაცვლად თავად მსჯავრდებულის ქცევისა და მისი პენიტენციური სისტემისადმი დამოკიდებულების გამოყენების შესახებ, რაც გულისხმობს დაბალი რისკის მსჯავრდებულის საშიშროების რისკის გადაფასებას იმ შემთხვევაში, „თუ მკვეთრად შეიცვალა მსჯავრდებულის ქცევა, დამოკიდებულება ან სხვა გარემო პირობები ან/და მისი იმავე ტიპის დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია."[70]
- ამასთან 2018 წლიდან ამოქმედდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს მსჯავრდებულის ქცევის, დამოკიდებულების მკვეთრად უარყოფითად შეცვლის შემთხვევაში ან/და მსჯავრდებულის იმავე დაწესებულებაში დატოვების გაუმართლებლობის დროს, დეპარტამენტის დირექტორის უფლებამოსილებას დროებით, არაუმეტეს 20 დღისა გადაიყვანოს მსჯავრდებული დახურული ტიპის დაწესებულებაში რისკის გადაფასების მიზნით.[71]

# კვლევების/ანგარიშების მეორადი ანალიზი

### საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის წლიური ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ ანგარიშში ცალკე თავს უთმობს მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის საკითხს.[72] სახალხო დამცველი აღნიშნავს მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის რისკებისა და საჭიროებების ზუსტი ანალიზის საფუძველზე განხორციელების აუცილებლობას. ხოლო თავად კლასიფიკაციას მიიჩნევს პენიტენციური სისტემის მხრიდან მსჯავრდებულთა ქცევის მართვისა და კონტროლისთვის აუცილებელ კომპონენტად. იგი ამბობს, რომ მნიშვნელოვანია კლასიფიკაციის სისტემა იყოს თანასწორუფლებიანობის გარანტი, საიმედო, ზუსტი და ეფექტური.[73]

სახალხო დამცველი ზოგადად მიმოიხილავს სისტემატიზაციის მარეგულირებელ ნორმებს, მიუთითებს მსჯავრდებულის გადაყვანის შესახებ თავის არაერთ რეკომენდაციაზე და მიესალმება მიმდინარე ცვლილებებს, რომელიც გულისხმობს კლასიფიკაციის განმახორციელებელი მექანიზმის შექმნას და რაც გამოიხატება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში მსჯავრდებულის რისკების შეფასების, გადაფასების, რისკების შეფასების კრიტერიუმების, რისკების სახეების, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ ბრძანების პროექტის შემუშავებით.[74]

სახალხო დამცველი მიესალმება მომზადებულ ცვლილებებს, მიმოიხილავს მისი დამტკიცების უპირატესობებს, თუმცა იქვე აღნიშნავს პროექტში არსებულ ბუნდოვანებებზე და სამართლებრივ ხარვეზებზე.[75]

### საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის წლიური ანგარიში

სახალხო დამცველი მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის საკითხს კვლავ ცალკე განყოფილებას უთმობს, სადაც მიმოიხილავს მარეგულირებელ ნორმებს და ხაზგასმით განიხილავს 2015 წლის 9 ივლისს დამტკიცებულ ბრძანებას „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე."[76]

როგორც სახალხო დამცველი მიუთითებს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მულტიდისციპლინური/რისკების შეფასების გუნდის სხდომა

70 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N70 ბრძანებით დამტკიცებული „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი", მუხლი 16.2, „დ".

71 იქვე, მუხლი 14.1[3].

72 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 45.

73 იქვე, გვ. 45.

74 იქვე, გვ. 45-47.

75 იქვე, გვ. 47.

76 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 39; „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე" სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N70 ბრძანება.

2015 წელს 9-ჯერ ჩატარდა და 105 მსჯავრდებულის საშიშროების რისკი შეაფასა. მიუხედავად თავად ბრძანების დამტკიცებისა და ამოქმედების მიმართ დადებითი პოზიციისა, აღნიშნულ შედეგს სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ამავე ბრძანებით განსაზღვრულია, რომ სისტემამ მსჯავრდებულთა პირველადი შეფასება და შესაბამის დაწესებულებებში განთავსება უნდა განახორციელოს 2017 წლის პირველ იანვრამდე.[77]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მიუხედავად დიდი წინგადადგმული ნაბიჯისა, მინისტრის მიერ დამტკიცებულ ბრძანებაში უნდა შევიდეს გარკვეული ცვლილებები, რაც უკავშირდება შეფასების პროცესში მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფას, მათ შორის მსჯავრდებულისთვის შეფასების პროცესის დაწყების შეტყობინების ვალდებულებას, მსჯავრდებულის მიერ გუნდისთვის დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის საშუალებას და მონაცემთა პირველად დამუშავებასა და მულტიდისციპლინურ გუნდში შესაბამისი ექიმის შეყვანას.[78]

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე სახალხო დამცველი რეკომენდაციას აძლევს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს:[79]

- განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულების ან პენიტენციური დეპარტამენტის ვალდებულება, მსჯავრდებულს აცნობოს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მისი საშიშროების რისკის შეფასების პროცესის დაწყების შესახებ. ამასთან, მსჯავრდებულს უფლება უნდა ჰქონდეს, მულტიდისციპლინურ გუნდს, მისი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, წარუდგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც მისი აზრით ხელს შეუწყობს მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას;
- მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფის შემადგენლობას დაემატოს დაწესებულების მთავარი ექიმი და მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობას დაემატოს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი, ალტერნატივის სახით, შესაძლოა განისაზღვროს, საშიშროების რისკის შეფასების პროცესში, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის ვალდებულება;
- მულტიდისციპლინურმა გუნდმა გაითვალისწინოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მსჯავრდებულის საშიშროების რისკის სახის განსაზღვრის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას და მისი შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ რეკომენდაციის გაცემის პროცესში.“

## საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის წლიური ანგარიში

სახალხო დამცველი მოკლედ ეხება თავის 2015 წლის წლიურ ანგარიშში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსადმი მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის საკითხზე გაცემულ რეკომენდაციებს, რომელიც ზემოთ უცვლელი სახით მოვიყვანეთ და ამბობს, რომ ისინი არ შესრულდა.[80]

სახალხო დამცველი კვლავ აძლევს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შემდეგ რეკომენდაციას: [81]

„მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები იმ მიზნით, რომ განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულების ან პენიტენციური დეპარტამენტის ვალდებულება, მსჯავრდებულს აცნობოს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მისი საშიშროების რისკის შეფასების პროცესის დაწყების შესახებ. ამასთან, მსჯავრდებულს უფლება უნდა ჰქონდეს, მულტიდისციპლინურ გუნდს, მისი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, წარუდგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც, მისი აზრით, ხელს შეუწყობს სასურველი გადაწყვეტილების მიღებას.“

## საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის წლიური ანგარიში

სახალხო დამცველის 2017 წლის წლიურ ანგარიშში არაფერია ნათქვამი მსჯავრდებულთა კლასიფიკაციაზე.

77 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 39 – 40.

78 იქვე, გვ. 40 – 41.

79 იქვე, გვ. 41.

80 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 52 – 53.

81 იქვე, გვ. 53.

# საჯარო სტატისტიკური ინფორმაცია

ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, პენიტენციური სისტემის საჯარო სტატისტიკურ ინფორმაციას პირველი პირიდან იძლევა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. წლიურ ანგარიშებში მოცემულია მსჯავრდებულთა საშიშროების სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში განთავსების რაოდენობების შესახებ ინფორმაცია თვეების და წლების მიხედვით. ინფორმაციის შეჯამება იძლევა შემდეგს:[82]

| დაწესებულები ტიპი | 12/2014 წ | 12/2015 წ | 12/2016 წ | 12/2017 წ |
|---|---|---|---|---|
| დაბალი რისკის | – | 80 | 101 | 151 |
| ნახევრად ღია | 2451 | 2731 | 3238 | 5204 |
| დახურული | 6076 | 5245 | 4414 | 2106 |
| განსაკუთრებული რისკის | – | 0 | 190 | 146 |
| არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო | 48 | 21 | 15 | 17 |
| ქალთა სპეციალური | – | 7 | 8 | 216 |
| ტიპის განსაზღვრის მოლოდინში | 290 | 316 | 264 | 136 |
| სულ | 8865 | 8400 | 8230 | 7975 |

შენიშვნა: მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის/დაწესებულების ტიპის მიხედვით მონაცემებში ასახული ინფორმაცია და სხვა კუთხით გამოტანილი იგივე მონაცემები გარკვეულწილად არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად: 2014 წლის დაწესებულების ტიპების მიხედვით მონაცემებში დეკემბერში ფიქსირდება 48 არასრულწლოვანი მსჯავრდებული,[83] ხოლო სქესობრივ–ასაკობრივ მონაცემებში[84] არასრულწლოვანი კაცი ფიქსირდება 47, ხოლო ქალი 0. ამავე მონაცემებში დაფიქსირებულია 219 სრულწლოვანი ქალი, ხოლო ტიპების მიხედვით მონაცემებში საერთოდ არაა ქალთა მონაცემი; 2016 წლის მსჯავრდებულთა სქესობრივ–ასაკობრივ მონაცემებში დეკემბერში ფიქსირდება 223 სრულწლოვანი ქალი და 13 არასრულწლოვანი კაცი[85] მაშინ, როდესაც დაწესებულების ტიპების მიხედვით მონაცემებში 8 ქალი და 15 არასრულწლოვანია მითითებული.[86]

აღსანიშნავია, რომ სამინისტრო, მისივე მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2017 წლის ჩათვლით არ აწარმოებდა რისკების გადაფასების სტატისტიკას.[87]

რისკის შეფასებისა და გადაფასების საფუძველზე შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანის ბრძანებების გასაჩივრების შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ 2015-2017 წლებში მინისტრთან გასაჩივრდა 53 ბრძანება, ხოლო სასამართლოში 22 ბრძანება.[88]

82 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2014 წლის წლიური ანგარიში, დანართი ცხრილი N15–10/ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2015 წლის წლიური ანგარიში, დანართი ცხრილი N32–10./ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2016 წლის წლიური ანგარიში, დანართი ცხრილი N33–10. / საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2017 წლის წლიური ანგარიში, დანართი ცხრილი N33–10.

83 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2014 წლის წლიური ანგარიში, დანართი ცხრილი N15–10.

84 იქვე, დანართი ცხრილი N15–08.

85 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2016 წლის წლიური ანგარიში, დანართი ცხრილი N33–08.

86 იქვ, დანართი ცხრილი N33–10.

87 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2018 წლის 20 აგვისტოს N MOC 8 18 00766016 წერილი, პუნქტი 6.

88 იქვე, პუნქტი 7.